პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 ივნისი ოთხშაბათი 1971 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 125 (15035)

ჰირველადი პარტიული ორგანიზაცია

ყველაზე პატარა პარტიულ ორგანიზაციაშიც კი, თუ ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონით, ყველაფერს შევნიშნავთ, ყველაფერს გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ბევრი რამ გავაკეთოთ, ბევრი ახალი შესაძლებლობა გამოვავლინოთ.

ლ. ი. ბრეჟნევი,

საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან.

ეკან მოვიტოვეთ ახალი ხუთწლედის შინაარსიანი და საინტერესო პირველი ხუთი თვე. წინ კი ახალი სამუშაოა, უფრო დიდი და პრაქტიკული საქმე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადწყვეტილებანი ის სწორი და კაშკაშა ორიენტირია, რითაც საბჭოთა ადამიანებმა კომუნისტური მშენებლობის გზის კიდევ ერთი და საკმაოდ პასუხსაგები მონაკვეთი უნდა გაიარონ.

აი რატომ არის, რომ ახლა მთელი ჩვენი ხალხი, როგორც იტყვიან, ყრილობის გადწყვეტილებებით სუნთქავს და შრომობს.

— ერთი სიტყვით, ამხანაგებო, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო-საზეიმო სხდომაზე, — ყრილობის გადწყვეტილებათა მოწონებიდან, მისი ხაზის განმარტებიდან ამ ხაზის პრაქტიკულ განხორციელებაზე გადასვლის ტემპი არ უნდა დავკარგოთ. ის შემოქმედებითი მგზნებარება, რომლითაც ყრილობამ აღანთო კადრები, მთელი პარტია, ყველა შრომელი, არ უნდა შენელდეს. საჭიროა იგი გამოვიყენოთ მთელი სისრულით, რათა XXIV ყრილობის მიერ გამოლვიძებული ძალები და ენერგიით სწრაფად, უნარიანად, დროის დაუკარგავად ჩავდგეთ დიდი პრაქტიკული საქმეების კალაპოტში, იმ ყოველდღიური მუშაობის რიტმში, რომელზეც დამოკიდებულია კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლის მიღებული გეგმის შესრულება.

დიან, პარტიის დიდი და შთამაგონებელი გეგმების განხორციელება დამოკიდებულია მასების შემოქმედებითს აქტივობაზე, მათს ინიციატივასა და ენერგიაზე. თვითეული მუშის, კოლმეურნის, სპეციალისტის, მეცნიერის შრომაზე, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მოღვაწეობაზე.

მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება, მათი შემოქმედებითი საქმიანობა მით უფრო მეტ ნაყოფს მოიხსამს, რაც უფრო მაღალი იქნება ადამიანთა შეგნება და ორგანიზებულობა, რაც უფრო უკეთ ეცოდინება თვითეულ მათგანს პარტიის გადწყვეტილებათა ბრძოლის ხაზზე საკუთარი ადგილი.

აი სწორედ აქ, ამ საქმეში ყველაზე უფრო თვალნათლივ ჩანს ის დიდი და პასუხსაგები როლი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საფუძველს, მის ძირითად რგოლებს წარმოადგენენ. არიან რა ცხოვრებასთან ახლოს, მოქმედებენ და მოღვაწეობენ წარმოების შუაგულში — ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებზე თუ მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — პრაქტიკულად წყვეტენ კომუნისტური მშენებლობის მომწიფებულ ამოცანებს.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია — აი ის კოლექტივი, სადაც ყალიბდება, იზრდება თვითეული კომუნისტი როგორც იდეური, შეგნებული და პარტიის საქმისათვის აქტიური მებრძოლი.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია — აი ის მართლაც ძირითადი რგოლი, რომლის საშუალებით ჩვენი პარტია პრაქტიკულად ახორციელებს მასებისადმი ხელმძღვანელობას, ცხოვრებაში ატარებს თავის გადწყვეტილებებსა და პოლიტიკას.

პარტია მუდმივად ზრუნავს იმისათვის, რომ გაზრდილად იზრდებოდეს პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა გადწყვეტილებებმა კიდევ უფრო ფართო შესაძლებლობა შეუქმნეს მათ აქტიური და ნაყოფიერი მუშაობისათვის. სწორედ ამ ზრუნვით იყო გამსჭვალული სკკპ XXIV ყრილობაც, რომელმაც პირველადს პარტორგანიზაციებს. ახალი სამოქმედო პროგრამა მისცა.

იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო გადიდეს პირველადი პარტორგანიზაციების პასუხისმგებლობა და აქტივობა პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, გაძლიერდეს მათი ორგანიზატორული და ალმაზრდელობითი მუშაობა შრომელთა კოლექტივებში, ყრილობამ სკკპ წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებანი შეიტანა. სკკპ XXIV ყრილობამ დადგინა გავრცელდეს სკკპ წესდების დებულება ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებებ შესახებ ყველა იმ საპროექტო ორგანიზაციის, საკონსტრუქტორო ბიუროების, სამეცნიეროსაკვლევი ინსტიტუტების, სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პირველად პარტორგანიზაციებზე, რომელთა ადმინისტრაციის ფუნქციები არ სცილდება მათი კოლექტივების ფარგლებს.

სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა, სამეურნეო დაწესებულებებისა და უწყებების პარტიული ორგანიზაციების მიმართ დაწესდა, რომ ისინი კონტროლს უწევენ აპარატის მუშაობას პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად, საბჭოთა კანონების დასაცავად.

საქართველოში ამჟამად 10.800-ზე მეტი პირველადი პარტიული ორგანიზაციაა. მარტო ერთ საანგარიშო პერიოდში — საქართველოს კპ ოცდამეხამე ყრილობიდან ოცდამეოთხე ყრილობამდე რესპუბლიკაში 2.506 საამქრო პარტიული ორგანიზაცია შეიქმნა, რითაც პარტიული ხელმძღვანელობა კიდევ უფრო მიუახლოვდა საწარმო კოლექტივებს, მათს ძირეულ რგოლებს, პარტიულ მუშაობაში ჩაება კიდევ უფრო მეტი კომუნისტი.

ყოველი პირველადი პარტიული ორგანიზაციის წარმატება უშუალოდ დამოკიდებულია მისი წევრების აქტივობასა და პასუხისმგებლობაზე. როგორ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული კომუნისტი ნაყოფიერად მუშაობდეს თავის კოლექტივში? ამაზე სწორ და ზუსტ პასუხს იძლევა ბევრი მოწინავე პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის გაცნობა.

მრავალი კეთილი საქმის ორგანიზატორები და წამომწყებნი არიან თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო, ელექტროვაგონშემკეთებელი, ბათუმის ნავთობგადამუშავებელი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნების, ჭიათურის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს, წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის, ლანჩხუთის რაიონის ეწრის კიროვის სახელობის, ასპინძის რაიონის ნაქალაქევის კოლმეურნეობების, ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის და მთელ რიგ სხვა საწარმო-დაწესებულებათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები. აქ კომუნისტები აქტიურად მონაწილეობენ თავიანთი ორგანიზაციის ცხოვრებაში, მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან არა მარტო პირადი მოვალეობის შესრულებას, არამედ მკაცრად მოითხოვენ ამას სხვებისაგანაც.

აი სწორედ ამიტომ არის, რომ ბევრგან დაიბადა ადამიანებთან მუშაობის ახალი სასარგებლო ფორმები, თავი იჩინა კარგმა თაოსნობამ და ინიციატივამ.

მეტად საყურადღებოა ის აღმზრდელობითი ფორმები, რასაც თბილისის პლასტმასის ქარხნის პარტიული კომიტეტი და საამქრო პარტიული ორგანიზაციები იყენებენ: აქ წესად იქცა თაობათა შეხვედრები, შრომითი დიდების, კითხვა-პასუხის საღამოები, სამუშაო იარაღების საზეიმოდ გადაცემა და მრავალი სხვა შინაარსიანი ღონისძიება.

თბილისის კამოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კომუნისტთა აქტიური ზრუნვით საწარმოში ბევრი ტექნიკური ნაბიჯ დაინერგა. ამ დღეებში კი მათი ინიციატივით მთელმა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ხუთწლედის პირველი წლის გეგმა ვადამდე, 28 დეკემბრისათვის შეასრულოს, აითვისოს ათი ახალი სახეობის ქსოვილი, დანერგოს 200 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიური ეფექტი წელიწადში 240 ათას მანეთს მიაღწევს.

არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ კომუნისტთა თვითეული კოლექტივის შინაარსიანი და ნისხლსავსე ცხოვრება ბევრად არის დამოკიდებული თვით მის ხელმძღვანელზე, მდივანზე, მის პირად ინიციატივაზე, იმის უნარზე, რომ სათავეში ჩაუდგეს და სწორად უხელმძღვანელოს ადამიანებს.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში ყოველწლიურად ბევრი ახალი ამხანაგი მოდის. ყველა მათგანს როდი აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, რომ უნარიანად გაუძღვეს საქმეს. ამიტომ მოსაწონია, საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტების ის პრაქტიკა, როცა ამ ახალი აქტივის სწავლებას მუდმივ და მიზანსწრაფულ ხასიათს აძლევენ, ამასთან არ ივიწყებენ ადგილებისადმი საქმიან ინსტრუქტაჟს, პრაქტიკულ დახმარებას.

პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს მაღალ მოთხოვნებს უყენებენ: მას უნდა ჰქონდეს ღრმა იდეური რწმენა, პარტიული სწრაფვა, ზნეობრივი სიწმინდე. იგი მუდამ უნდა იყოს ამ მოთხოვნების დონეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ გაამართლებს კომუნისტების ნდობას.

ძალიან სამარცხვინოდ იმუშავეს შარშან ცაგერის რაიონის ნასპერის კოლმეურნეობაში. აქ ვენახს თითქმის თავი მიანებეს, და შედეგიც სავალალო აღმოჩნდა. პირველადი პარტიული ორგანიზაცია ამ ფაქტს შეურიგდა, კომუნისტებიც გვერდს უვლიდნენ საჭიროროტო საკითხებს, ხოლო პარტიული ორგანიზაციის ბიუროს ყოფილი მდივანი თვითონ იჩენდა უდისციპლინობას.

ყველაზე მთავარია თვითეულ ორგანიზაციაში რაც შეიძლება ზუსტად იქნას დაცული პარტიული ცხოვრების ნორმები, რომლებიც ჩვენი პარტიის წესდებით არის განმტკიცებული. კომუნისტი იწრთობა და ყალიბდება მხოლოდ აქტიურად მოქმედ კოლექტივში. იქ, სადაც სუსტად იცავენ პარტიის წესდების მოთხოვნებს, სადაც პატივისცემით არ სარგებლობს კრიტიკა და თვითკრიტიკა, იქ კომუნისტთა ინიციატივაც არა ჩანს.

სწორედ ასე მოიქცა ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პარტიული ორგანიზაციის მდივანი შ. ჭელიძე. მან მოხსენებიდან ამოაგდო ის აბზაცები, რომლებიც სერიოზულ ნაკლს ამზეურებდნენ, კერძოდ კი მიუთითებდნენ იმაზე, რომ თურმე „კომუნისტთა სიმცირის გამო“ აპრილსა და მაისში პარტიული კრებები ჩაშლილა.

უპრინციპობის, არაპირდაპირობის მაგალითებს სხვაგანაც ვხედავთ. ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საჭიროა პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მეტი ყურადღება დაუთმონ პირველადს ორგანიზაციებს. მათი მუშაკები უფრო ხშირად უნდა მიდიოდნენ ადგილებზე და გამოდიოდნენ არა მხოლოდ შემმოწმებლების, არამედ ჭეშმარიტ ინსტრუქტორების როლში.

მაგრამ დახმარებაც არის და დახმარებაც. მას არც კამპანიური ხასიათი უნდა ჰქონდეს და არც ვალის მოხდის მიზანი. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე ითქვა, რომ არაგიჩის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში პარტიის რაიკომის მუშაკების დახმარებით ბიუროს დადგენილების შესრულებისათვის პერსპექტიული გეგმაც კი შედგა. მაგრამ შემდეგ ამ გეგმაში აღარავის ჩაუხედავს, იგი ქაღალდზე დაიწერა და ქაღალდზევე დარჩა.

პარტიულ მუშაობაში ხულ უფრო ახალი და ახალი საინტერესო ფორმები ინერგება. ბევრ პარტიულ კომიტეტთან შექმნილია პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ოთახი, პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის მეთოდური კაბინეტები, პარტიული აქტივის სწავლების სკოლები, სხვადასხვა საბჭოები, კომისიები, იმართება აგრეთვე სემინარები და საინსტრუქტაჟო თათბირები, შემოღებულია საჩვენებელი პარტიული კრებების მოწყობა და სხვა ღონისძიებანი. ყოველივე ეს კარგია და იგი მიმართულია პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისაკენ, მათდამი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაუმჯობესებისაკენ. მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფორმალიზმს.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის გააქტიურება, მათი ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლება საუკეთესო გარანტია სკკპ XXIV ყრილობის გადწყვეტილებათა, ახალი ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის გზაზე.

9 დაზგა ემორჩილება მქსოველ ზაირა ჯიბლაძეს. ქუთაისის აბრეშუმის სამრეწველო გაერთიანების მოწინავე საწარმოში 16 წლის მუშაობის განმავლობაში მან დაწვრილებით შეისწავლა თავისი ხელობა, მახვილი სმენა და გაწაფული თვალი დაუყოვნებლივ ამჩნევენ უმცირეს ხარვეზსაც კი დაზგების მუშაობაში. გამოცდილი მქსოველი ხალისით გადასცემს ოსტატობის საიდუმლოებას ახალგაზრდებს. მისი ყოფილი 40 მოწაფე ახლა მქსოველად მუშაობს. ცვლის დავალებებს ზ. ჯიბლაძე 135-140 პროცენტით ასრულებს.

გაერთიანების საუკეთესო მქსოველი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატადაა წამოყენებული.

სურათზე: მოწინავე მქსოველი **ზაირა ჯიბლაძე.**

ფოტო ვ. მორგუნოვისა
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ხალხის კანდიდატები

დიდი ნდობა გამოუცხადეს თავის თანასოფლელს, ჭიჭიკო ჯულაყიძეს ვანის რაიონის სოფელ შუამთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა. იგი დასახელებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სახელოვანი მეკვინახე ყოველ წელს ყურძნის უხვ მოსავალს იღებს, ეს მისი მუყაითი შრომის ნაყოფია. კოლმეურნეობის საერთო შემოსავალში, რომელმაც გასულ წელს 230 ათას მანეთს მიაღწია, ჭიჭიკო ჯულაყიძესაც აქვს შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი.

სურათზე: რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, მევენახე **ჭიჭიკო ჯულაყიძე.**

ფოტო ი. ჭოხონელიძისა
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ჰეკინში გზად მიმავალი

რუმინეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის **ნ. ჩაუშესკუს** მეთაურობით, რომელიც ოფიციალური ვიზიტით მიეგზავრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, 1 ივნისს მოკლე ხნით ჩამოხდა ნოვოსიბირსკსა და ირკუტსკში.

ნოვოსიბირსკისა და ირკუტსკის აეროდრომებზე, რომლებიც მორთული იყო რუმინეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, დელეგაციას შეხვდნენ ნოვოსიბირსკისა და ირკუტსკის პარტიული და საბჭოთა დელეგაციების ხელმძღვანელნი. მათ შორის იყო რუმინეთის ელჩი სსრ კავშირში **ტ. მარინესკუ.**

დელეგაცია ჰეკინს გაფრინდა.

გადაუფრინეს რა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ჩაუშესკუმ** და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ი. გ. მაურერმა** ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ვ. პოდგორნის, ა. ნ. კოსიგინს** თვითმფრინავიდან გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულთბილი, ამხანაგური სალამი გადასცეს პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სახელით.

ვსარგებლობთ ამ შემთხვევით, ნათქვამია დეპეშაში, რათა თქვენ და სსრ კავშირის ხალხებს სულით და გულით ვუსურვოთ ახალი წარმატებები კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, აყვავება და პროგრესი ვუსურვოთ თქვენს ქვეყანას. (საკდესი).

შრომის დამკვრელურ ვაჩტზე

ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს

თბილისი. ხუთი თვის გეგმა და ნაკისრი ვალდებულება ვადამდე შეასრულა კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის (დირექტორი გ. შენგელია) კოლექტივმა, წლის დამდეგიდან გამოშვებულია ახობით სამსხმელო მანქანა, რაც გეგმას ბევრად აღემატება. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 20 პროცენტით.

საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის საიუბილეო ზეიმის დღეებში აქ სახელმწიფო გამოცდა გაიარა ახალმა სხმელის საწმენდმა მანქანამ, რომელიც ახლანდელ სერიულ მანქანებს ბევრად სჯობნის. წარმოებაში ჩაშვებულია ტექნიკური დოკუმენტაცია კიდევ ორი ახალი მანქანის ასათვისებლად.

ორ კვირაზე მეტია ივნისის ანგარიშში შრომობს ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ თბილისის საწარმოო კომბინატის (დირექტორი გ. ჭყონია) კოლექტივი. ხუთი თვის გეგმის გადამეტებით მომხმარებელმა მიიღო 161 ათასი მანეთის პროდუქცია.

ათობით ცალი ზუსტი და ზეზუსტი სახეხი ჩარხი გამოუშვა მიმდინარე წლის ხუთ თვეში თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის კოლექტივმა და გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. განაღდებულია ნაკისრი ვალდებულებაც. დავალების გადამეტებით გამოშვებულია 17 ათასი მანეთის პროდუქცია, სოლო რეალიზებულია 15 ათასი მანეთისა.

მიმდინარე წლის ხუთ თვეში გეგმასთან შედარებით 5,6 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის (დირექტორი გ. გამცემლიძე) კოლექტივმა. მრთველებმა და მეტრიკოტაჟეებმა პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი, გამოუშვეს 711 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს გაეგზავნა 271 ათასი მანეთის პროდუქცია; დავალების გადამეტებით გამოშვებულია 74 ტონა ნარეი და 69 ათასი ცალი ტრიკოტაჟის სხვადასხვა ნაწარმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

დავიცვათ თევზის მარაგი

ბრაკონიერობისა და თევზჭერის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ 1971 წლის 15 მაისიდან 15 ივლისამდე მოეწყოს თევზის, განსაკუთრებით შავი ზღვის ორაგულის მარაგის დაცვის ორთვიური საგაზაფხულო ქვირითის ყრის პერიოდში დასავლეთ საქართველოს მდინარეებში ჩასვლის დროს.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოთა აღმასკომებს შექმნან სპეციალური შტაბები თევზდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით თევზის მარაგის დაცვის ორთვიურის მოწყობისადმი ხელმძღვანელობისათვის; მოაწყონ ორთვიურის პერიოდში წყალსატევების სანიტარული მდგომარეობის და წყალსაცავების, მდინარეებისა და ტბების წყალსადებზე არსებულ თევზდაცვის ნაგებობათა მუშაობის ეფექტიანობის შემოწმება და განიხილონ შემოწმების შედეგები; მოაწყონ თევზდაცვის ორგანოების მოხსენებათა თანახმად ტყის ნარგავების აღდგენა იმ მდინარეთა ნაპირებზე, რომლებშიც ორაგული შედის, ამასთან ჩაბან ამ მუშაობაში სატყეო მეურნეობები, საზოგადოებრიობა, პიონერები და მოსწავლეები.

საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლევა-წარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს დაეკვალა შინაგან საქმეთა სამინისტროს და საზოგადოებრივი თევზდაცვის რეგიონალურ ორგანოებთან ერთად შექმნას თევზდაცვის თვითეულ ინსპექციაში მუდმივი ოპერატიული ჯგუფები, რომლებიც მთელი დღე-ღამის განმავლობაში ქვეითად და ცხენით შემოივლიან თევზის მარაგის დაცვის თევზსამეურნეო წყალსატევებს, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თართის სახეობის თევზის ქვირითის დასაყრელი ფართობების დაცვას; ნება დართოს ორთვიურის პერიოდში აწარმოონ თევზის მოხალისური ჭერა შინაგან წყალსატევებში, რომლის დროსაც გამოყენებული იქნება არა უმეტეს ორი ანკესისა მეთევზეზე; აკრძალოს მოხალისური თევზჭერა რესპუბლიკის ყველა წყალსატევში დადამებიდან გათენებამდე; შექმნას „ცისფერი გუშაგის“ რაზმები პიონერთა და უფროსი კლასების მოსწავლეთა შემადგენლობით და მოაწყოს მუშაობა მთავარი არხიდან მოწყვეტილ ტოტებში დარჩენილი თევზის მოზარდეულის გადასარჩენად, აგრეთვე უზრუნველყოს მათი მონაწილეობა წყალსატევების, მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების ნაპირებზე არსებული ტყის ნარგავების დაცვასა და მასობრივი ახსნა-განმარტებით მუშაობის მოწყობაში, აქტიური მონაწილეობა მიიღებინოს ინსპექტორებს რესპუბლიკის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვაში, განახორციელოს მასობრივი ახსნა-განმარტებითი ღონისძიებანი რესპუბლიკის მოსახლეობაში თევზდაცვის კანონმდებლობის საკითხებზე; გააძლიეროს ტყის ნარგავების დაცვა მდინარეებს, ტბებისა და წყალსაცავების ნაპირებზე, განსაკუთრებით იმ მდინარეთა ნაპირებზე, რომლებშიც ორაგულისა და თართის საზრობის თევზი შედის.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დახმარება უნდა აღმოუჩინოს თევზდაცვის ორგანოებს იმ მხრივ, რომ განახორციელონ კონტროლი თევზჭერის და თევზის მარაგის დაცვის წესების შესრულებისადმი, აგრეთვე გააძლიეროს ბრძოლა სახელმწიფო და საკოლმეურნეო თევზჭერი დან თევზის დატაცებისა და ქერძო პირების მიერ ვეირფასი სახეობის თევზის გაყიდვის წინააღმდეგ; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გამოუსწორებელი ბრაკონიერების წინააღმდეგ, ფეიქებად და მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენების წინააღმდეგ.

ბრძოლას, ამასთან ყოველ ცალკე შემთხვევაში გამოარკვიოს ამ ნივთიერებათა შეძენის წყაროები; უზრუნველყოს თევზდაცვის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად იმ ადგილების დაცვა, სადაც თავს იყრის თევზი ქვირითის ყრის პერიოდში, — ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა, განსაკუთრებით ორთაშალის ჰიდროელექტროსადგურის, ოფსთავის, ტაშისკარის და ბულაჩაურის წყალსაღებ ნაგებობათა კაშხალებთან.

დადგენილება ითვალისწინებს, რომ რესპუბლიკის პროკურატურამ, იუსტიციის სამინისტრომ და უმაღლესმა სასამართლომ უნდა გაამკაცრონ ხელმძღვანელობა გამოუსწორებელი ბრაკონიერების მიმართ აღძრული საქმეების გამოძიებისა და განხილვისადმი და მეთვალყურეობა გაუწიონ მათ, შემოიღონ ბრაკონიერთა საჩვენებელი სასამართლო პროცესების მოწყობა.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, ამ რესპუბლიკების თევზდაცვის სახელმწიფო ინსპექციებს დაეკალთ გააძლიერონ იმ მდინარეთა დაცვა, რომლებშიც ორაგული შედის, და მოაწყონ ორაგული სახეობის თევზის დაცვის დამატებითი ორთვიური ქვირითის ყრის პერიოდში 1971 წლის 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე. (საქდესი).

სახელოვანი კოლექტივის დღესასწაული

31 მაისს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზმა ვერ დაიტია ყველა მსურველი, რომლებსაც უნდოდათ გამხდარიყვნენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დასახურებული ანსამბლის პატივსაცემად გამართული საღამოს მონაწილენი. ამ დღეს სახელგანთქმული კოლექტივი დღესასწაულობდა დაარსების 25 წლისთავს. დიდი შემოქმედებითი გზა გავლილ პოპულარულმა ანსამბლმა ამ ხნის მანძილზე. მან 8 ათასზე მეტი კონცერტი გამართა ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ, მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი ქართულ ხალხურ ცეკვას.

საიუბილეო საღამოზე შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

საღამოს დაესწრნენ **მ. გოგიჩაიშვილი, ა. ინაური, ო. ლოლაშვილი, ვ. მეკავანაძე, ა. ჩურკინი, ნ. ცხაკაია, გ. ძოწენიძე, შ. ჭანუყვაძე, გ. ჯავახიშვილი, რ. მეტრეველი, თ. მოსაშვილი, ჯ. პატარაშვილი.**

დარბაზში არიან აგრეთვე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საერთაშორისო-საფინანსო საკითხთა მეუმეფი კომისიის მე-20 სხდომის მონაწილე დელეგაციათა მეთაურები და წევრები.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა **ო. თაქთაქიშვილმა.**

დამსახურებული ანსამბლის სახელოვან გზაზე მოხსენება გააკეთა პროფესორმა **ვ. ხუციშვილმა.**

...აიხადა ფარდა, და ერთბაშად ხუთივე ეკრანზე დაიწყო სსრ კავშირის სახალხო არტისტის გ. ასათიანის მიერ შექმნილი კინომატიანის ფრაგმენტების დემონსტრაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში ანსამბლის გასტროლების შესახებ. შემდეგ სცენაზე გამოდიან საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლი, კოლექტივის უცვლელი ხელმძღვანელები სსრ კავშირის სახალხო არტისტები, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი, რომლებსაც დარბაზი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

ანსამბლს 25 წლისთავი მიულოცეს აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ლ. ბოლქვაძემ, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პრომპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ გ. კოკოევმა, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის, ქუთაისის, გორის, შოთა რუსთაველის სახელობის, კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრების, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის, ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, საქალაქო ტრანსპორტის მუშაკთა, 39-ე საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, ხალხურმა მთქმელმა ი. ზურაბიშვილმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ძოწენიძემ** წაიკითხა ბრძანებულება საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

...ეღირს უკანასკნელი აკორდი. სცენაზე გამოდიან ანსამბლის წევრები, რომლებსაც მქუხარე ტაშით ხვდებიან. სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ი. სუხიშვილმა** წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც მადლობა გადაუხადა პარტიას და მთავრობას, მთელ ქართველ ხალხს ანსამბლისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის.

(საქდესი).

თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში უნდა უზრუნველყოთ ყველა კომუნისტის აქტიური მონაწილეობა პარტიულ გადაწყვეტილებათა განხილვაში, შემუშავებასა და განხორციელებაში, განვავითაროთ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა — ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და საქმის გაუმჯობესების ნაცადი მეთოდი.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციიდან.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲕᲔ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ხეობა, არაგვისპირი... ძვირფასო მკითხველო, იქნებ არ გიმგზავრიათ საქართველოს სამხედრო გზის იმ უბანზე, სადაც გადაშლილია ჩვენი საბჭოთა მეურნეობის ზვრები და ბაღები, არ დამტკბარხართ ბუნების სილამაზით და წალკოტად ქცეული მინდვრებით, სადაც შრომელი კაცი ებრძვის ბუნებას, რათა უფრო ააყვაოს, კიდევ უფრო ლამაზი გახადოს ჩვენი სამშობლო.

და თუ მართლა არ ყოფილხარ ჩვენს მხარეში, ძალიან გთხოვთ გონების თვალით მაინც იმგზავროთ არაგვისპირში, გაეცნოთ ჩვენს ხალხს, უწინარეს ყოვლისა კი კომუნისტთა თავდადებულ გარჯას, გაეცნოთ იმ წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია პარტიის XXIV ყრილობისათვის მზადების პერიოდში, ქართველი ხალხის იმ დიდი ეროვნული დღესასწაულის პერიოდში, რომლის სიხარული დიდხანს დარჩება ჩვენს გულში. მე შევეცდები მოგითხროთ, თუ რა სიახლეა ჩვენთან პარტიულ მუშაობაში, როგორ ვასრულებთ ყრილობის მიერ დასახულ დიად ამოცანებს შრომის ჩვენს ფრონტზე.

დავიწყოთ პარტიული კრებით, რომელმაც განიხილა საკითხი „სკკპ ყრილობის გადაწყვეტილებანი და პარტიული ორგანიზაციის ამოცანები". დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა, კრებაზე მოვიდა ყველა კომუნისტი. მართალია, კრება ყრილობის დამთავრებიდან სამიოდე კვირის შემდეგ მოეწყო, მაგრამ შრომელებში ერთი წუთითაც არ შენელებულიყო ის დიდი ინტერესი, რასაც ისინი ამ ისტორიული ფორუმისადმი იჩენდნენ.

მე, როგორც მომხსენებელი, შესამჩნევად ვღელავდი, დარბაზში ისხდნენ ადამიანები, რომელთა წინაშე ყოველთვის კუფდს უნდა იხდიდე, მათი მარჯვენით და ნათელი გონების საბჭოთა მეურნეობამ სამ წელიწადში არწივის ფრთები შეისხა. მე გავახსენე ამხანაგებს, რომ მეურნეობის მიწის ფართობი შეადგენს 31 ათას ჰექტარს, მათ შორის სავარგულებს უკავია 20 ათასი ჰექტარი, რომ მეურნეობა აერთიანებს 64 სოფელს; ჩამოყალიბებისას მეურნეობას გააჩნდა მხოლოდ 100 ჰექტარი ბაღი და 56 ჰექტარი ვენახი, სამ წელიწადში ბაღვენახების ფართობი 1046 ჰექტარამდე გაიზარდა.

სამი წლის მანძილზე მეურნეობა დაგეგმილი იყო წაგებით, მაგრამ არცერთი წელიწადი ზარალით არ დაგვიმთავრებია. შარშან მოგებამ 61 ათასი მანეთი შეადგინა, ყურძნის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე გავზარდეთ 15 ცენტნერით, ხოლო ხილისა — 43 ცენტნერით. საშუალოდ ერთი ჰექტარი ბაღისა და ვენახის შემოსავალმა 8 ათასი მანეთი შეადგინა. აი რა სიკეთის მოტანა შეუძლია მიწას, თუ კი მას გონიერულად გამოვიყენებენ!

პარტია ეკონომიური პროგრესის ორგანიზატორია. ჩვენც ვიბრძვით ეკონომიკის განმტკიცებისათვის, რის შედეგადაც განუხრელად იზრდება ფულადი შემოსავალი. შარშან 870 კაცმა მიიღო პრემიალური დანამატი 69 ათასი მანეთის რაოდენობით; გთხოვთ დაუფიქრდეთ ამ ციფრებს: ორი წლის წინათ მეურნეობაში ჩამბული იყო 1.541 კაცი, შარშან კი

მომავალი

მათი რიცხვი 2283-მდე გაიზარდა. ეს შემთხვევითი როდია.

ჩვენი ყოველდღიური საბრძოლო საზრუნავია პროდუქციის გაიაფება. შარშან ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება შემცირდა 10 მანეთით, ხილისა — 8 მანეთით, კილოგრამი ყურძნის წარმოება 21 კაპიკი დაგვიჯდა, ხოლო ხილისა — 9 კაპიკი.

ჩემს მოხსენებაში ბევრი ციფრი იყო, რომლებიც მოგვითხრობდნენ ჩვენი კომუნისტების ვაჟკაცურ შრომაზე, ავიღოთ მეცხოველეობა, კერძოდ, მეცხვარეობა, რომელსაც კომუნისტი ვ. ყორბესაშვილი ხელმძღვანელობს. შარშან ჩვენმა მეცხვარეებმა ყოველ ას ნერბზე 98 ბატკანი გაზარდეს, გეგმა კი 80 ითვალისწინებდა, საშუალოდ ერთ ცხვარზე გაპარსეს 2,88 კილოგრამი მატყული, ანუ გაცილებით იმაზე მეტი, ვიდრე გეგმა ავალებდა. თვითეული ფურზე შარშან ჩამოვწველეთ 1104 კილოგრამი რძე, ყოველ ას ფურზე მივიღეთ 95 ხბო.

ასეთივე წარმატებები გვაქვს წელს.

ყველას ეამაყება, რომ რაიონის სამი გარდამავალი წითელი დროშა მოვიპოვეთ, სხვა სახის დროშა კი მგონი რაიონში არც არსებობს.

მერე კრების მონაწილეებს მოვუთხრე იმ ამოცანებზე, რაც ყრილობამ დასახა სოფლის კომუნისტთა წინაშე, ბევრი ვილაპარაკე ჩვენი მეურნეობის ამოცანებზეც. ახალი ხუთწლედის ბოლოს უნდა გვქონდეს 500 ჰექტარით იმაზე მეტი ვენახი და ბაღი, ვიდრე ახლა გაგვაჩნია, დაგეგმილია ხუთი წლის შემდეგ მარტო ბაღ-ვენახებიდან მივიღოთ დაახლოებით 4,5 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი. შესაბამისად გაიზრდება ყურძნისა და ხილის მოსავლიანობა. ამავე დროს მნიშვნელოვნად ამაღლდება მარცვლეულისა და ბოსტნეულის წარმოება, რაც მოსავლიანობის ზრდით უნდა იქნას მიღწეული.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მეცხოველეობას. ხუთწლედში საშუალოდ თვითეული ფურის წველადობა უნდა ამაღლდეს 1.400 კილოგრამამდე, თვითეული ცხვრის ნაპარსი გაიზრდება 2,7 კილოგრამამდე, რასაც პარტიკომი ჯიშიანობის გაუმჯობესებით უნდა მივაღწიოთ. დიდი ღონისძიებებია დასახული მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

მოხსენების დასასრულს კრების მონაწილეებს გავახსენე დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის აზრი იმაზე, რომ სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებულობით, სახელმწიფო ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, ყველაფერზე შეუძლიათ იმსჯელონ და ყველაფერს შეგნებულად აკეთებენ, რომ ყრილობის მასალების პროპაგანდისათვის

ᲓᲦᲔᲡᲕᲔ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ როგორც ზეპირი, ისე თვალსაჩინო აგიტაციის ყველა ფორმა და საშუალება, ყრილობის მასალებს უწინარეს ყოვლისა უნდა სწავლობდნენ კომუნისტები.

გაიმართა ცოცხალი, საინტერესო სჯა-ბაასი თვითეული კომუნისტის ამოცანებზე ახალ ხუთწლედში. ამან თავიანი გამოხატულება ჰპოვა ერთხმად მიღებულ დადგენილებაში, რომელშიც ნათქვამია, რომ მეურნეობის კომუნისტები მთლიანად და სავსებით იწოლებენ ყრილობის გადაწყვეტილებებს და ერთსულოვნად ებმებიან კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელიც ყრილობამ დასახა.

ეს კრება დიდხანს დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

მას შემდეგ არ არის ისეთი დღე და საათი, რაიმე რომ არ კეთდებოდეს მეურნეობის წინსვლისათვის, სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებისა და აქედან გამომდინარე ჩვენი კონკრეტული ამოცანების პროპაგანდისათვის. ყველა ბრიგადაში მოვაწყეთ სტენდები, ფოტოვიტრინები, გამოვფინეთ პლაკატები და ლოზუნგები; ახლა თვითეულმა კომუნისტმა და მეურნეობის ყველა მუშამ იცის თავისი ყოველდღიური ამოცანა, იცის, რა პერსპექტივებია დასახული ახალ ხუთწლედში, რომელთა გადაწყვეტაში მთავარია ადამიანები, კადრები. ამიტომაც წარმოების გადამწყვეტ უბნებს მეთაურობენ კომუნისტები. 27 საწარმოო ბრიგადიდან 17-ს კომუნისტები ხელმძღვანელობენ. ესენი არიან მეურნეობის წამყვანი სპეციალისტები. პარტიული ორგანიზაციის წევრთა 94 პროცენტი უშუალოდ დასაქმებულია წარმოებაში. მათი უმრავლესობა თავდადებული შრომისა და პარტიული დისციპლინის მისაბაძ მაგალითს გვიჩვენებს.

მინდა გაგაცნოთ ჩვენი „ოქროს ფონდი" — მოწინავე ადამიანები, მატერიალური დოვლათის შემოქმედნი. ასეთები არიან კომუნისტი ბრიგადირები შალვა ღანიშვილი, ელისაბედ ბადაგაძე, იასონ აფციაური, მიხეილ ბადაგაძე, ვლადიმერ ოდიშელიძე, ალექსი წიკლაური და სხვები.

შარშან შალვა ღანიშვილის ბრიგადამ წარმოების გეგმა შეასრულა ყველა სახის მიხედვით, ამასთან ერთად მოგვცა საუკეთესო ხარისხის პროდუქცია, რამაც დიდად გაზარდა ბრიგადის ფულადი შემოსავალი: 32 ათასი მანეთის ნაცვლად ბრიგადამ მიიღო 72 ათასი მანეთი, მარტო პრემიების სახით ბრიგადის წევრებმა 28 ათასი მანეთი გაინაწილეს, მოწინავე ბრიგადას ჰყავს ნოვატორი მუშები. ერთი მათგანია ბაბულა მთიულიშვილი, რომელმაც შარშან 214 კაცდღე გამომუშავა და პრემიის სახით 698 მანეთი მიიღო. მოწინავე მუშა-ქალი ბ.



მსოფლიო დღეს

ბრაზილია

გელადის ძეგლი

1 ივნისი. (საკდესი). სლოვაკიის დიდ სამრეწველო, ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრში — ქალაქ ჟილინაში ათასობით მშრომელის თანდასწრებით საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი.

გადაწყვეტილება ძეგლის აგების შესახებ მიიღეს ერთი წლის წინათ მასობრივ მიტინგზე, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. მაშინვე ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანს, სადაც მიტინგი მიმდინარეობდა და სადაც ახლა ძეგლი აღმართა, ლენინის სახელი უწოდეს.

ძეგლის სიმაღლე 6 მეტრია და ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან. ძეგლის ავტორები არიან ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი მოქანდაკე კლემენტ გოტვალდის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ი. კულიხ და არქიტექტორი ი. ვრანა.

ულან-ბატორი

ყრილობის შესახებ

1 ივნისი. (საკდესი). მონღოლეთის მშრომელები ემზადებიან სახელოვანი შრომითი საქმეების შესახებ. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის მომავალ XVI ყრილობას. ამ დღეებში ისინი აჯამებენ იმ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, რომელიც მთელ მონღოლეთში გაიმართა.

როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იტყობინება, მონღოლეთის მრეწველობამ კარგი ტემპი აიღო ახალი ხუთწლედის პირველ წელს. მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში მონღოლეთის სამრეწველო პროდუქციის მთლიანი მოცულობა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 13 პროცენტით გაიზარდა.

მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმა ორა მარტო შესრულდა, ორამედ მთელ რიგ შემთხვევებში გადაჭარბებითაც არის განაღდებული. ყველაზე სწრაფი ტემპით იზრდებოდა წარმოება მრეწველობის ისეთ წამყვან დარგებში, როგორიცაა ენერგეტიკა, სამთომომპოვებელი და მსუბუქი მრეწველობა.

ნიუ-იორკი

„ხსოვნის დღეს“ — ომის წინააღმდეგ

1 ივნისი. (საკდესი). დაღუპულ ამერიკელ ჯარისკაცთა ტრადიციული „ხსოვნის დღე“ ამერიკის შეერთებული შტატების ბევრ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში მუშინ აღინიშნა მასიური ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებით.

ვიეტნამის ომის ასობით ვეტერანი გამოვიდა ბოსტონის ქუჩებში ლოზუნგებით: „ძირს ომი!“, „შინ დაბრუნეთ ჩვენი ძმები!“. ქალაქის პარკში გამართულ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ამერიკის ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ იუჯინ მაკარტიმ, რომელმაც მკვეთრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკა ინდოჩინეთში და მოითხოვა ვიეტნამის ომის შეწყვეტა.

„ომის მოწინააღმდეგე ვიეტნამის ვეტერანთა“ ორგანიზაციის ინიციატივით სენტ-ლუისის (მისურის შტატი) ქალაქის პარკში ნაჩვენები იყო ფამფლეტი, დაკითხვის, მასობრივი ხოცვა-ჟლეტის სცენები, რასაც ამერიკის მხედრიონი სჩადის ვიეტნამში.

გაზეთმა „დეტროიტ ფრი პრესმა“ დაბეჭდა მიჩიგანის შტატის 2.509 მცხოვრების სია, რომლებიც ვიეტნამში დაიღუპნენ. „შეხედეთ, რამდენი წლისა იყვნენ და შეეცადეთ მისხდეთ, რომ ეს შშრალი სამხედრო ქრონიკა კი არა, ადამიანთა სიცოცხლეა“, — მიმართავს გაზეთი მკითხველებს.

სენატორმა ა. კრენსტონმა (დემოკრატი, კალიფორნიის შტატი), რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ომის ვეტერანთა წინაშე ლოს-ანჯელესში, აღნიშნა ზანგ სამხედრო მოსამსახურეთა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა.

ინდოჩინეთში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ დემონსტრაციები და მიტინგები გაიმართა აგრეთვე სანფრანცისკოში, სიეტლში, ვაშინგტონში, დენვერსა და ბევრ სხვა ქალაქში.

პროვოკაციები გრძელდება

ჰავანა

1 ივნისი. (საკდესი). კვლავ პატიმრობაშია რვა კუბელი მებადური, რომლებიც უკანონოდ დაატუსაღეს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებმა. გამოირკვა, რომ ამერიკის ქალაქ კი-უესტის საპრომბილის ადმინისტრაცია ყოველნაირად აწვალებს მათ. პატიმრებს დღეში მხოლოდ ერთხელ აძლევენ საჭმელს.

ამავე დროს გრძელდება პროვოკაციები იმ სარეწის რაიონში, სადაც მეკობრული მოტაცება მოხდა. კუბის თევზსაჭერ გემებს განუწყვეტლივ თავს დასტრიალებენ თვითმფრინავები ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების საცნობი ნიშნებით, ახლოს მიდიან ამერიკის სანაპირო დაცვის კატერები.

მებადურთა დაპატიმრება კუბელი ხალხის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. ამ დღეებში მთელ კუბაში იმართება სპეროტესტო მიტინგები, რომელთა მონაწილენი გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების ბანდიტურ მოქმედებას.

ამერიკა დამთვალიერებელთა ნაკადი გურჭეში

1 ივნისი. (საკდესი). სამასი ათასამდე კაცმა დაათვალიერა ამ ბოლო სამ დღეში ავიაციისა და კოსმონავტიკის 29-ე საერთაშორისო სალონი პარიზის ბურჟეს აეროპორტში.

ამ დღეებში პარიზში ჩამოსული ამინდია. ცა სულ ღრუბლებით არის დაფარული, ხშირად წვიმს. მაგრამ „რთული“ მეტეოროლოგიური პირობები ხელს არ უშლიან ათასობით ფრანგსა და უცხოელ ტურისტს ნახონ საკონსტრუქტორო და საინჟინრო აზრის უახლესი მიღწევანი ავიაციისა და კოსმოსის დარგში. აქ განუწყვეტლივ ისმის საუბარი ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, შვედურ, იტალიურ და სხვა ენებზე.

განსაკუთრებით ბევრი ხალხია ხოლმე სალონის იმ ნაწილში, სადაც ექსპონირებულია თვითმფრინავები, კერძოდ, საბჭოთა ზებგერითი სამგზავრო ლაინერი „ტუ-144“.

საბჭოთა კავშირის კოსმოსის პავილიონში ღიაა ყველა კარი, რათა ყველა მსურველს შეეძლოს იმის დანახვა, თუ როგორ მუშაობს კოსმოდრომის სასტარტო კომპლექსის მაკეტი, რომელიც იმეორებს „ვოსტოკ-1“ ხომალდიანი მატარებელი რაკეტის გაშვებას. ინტერესს აწვევს „ლუნოხოდ-1“, საბჭოთა ავტომატური სადგურები და სხვა ექსპონატები. პავილიონში პრაქტიკულად შეუძლებელია მოზღვავებულ დამთვალიერებელთა შორის გავლა. ყოველ წუთს ისმის შეძახილები: „ჩინებულია“, „დიდებულია“, „ფანტასტიკურია“.

ფაქტები

● სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი პარიზში ჩავიდა საფრანგეთის მთავრობის მოწვევით ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხთა განსახილველად.

● მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის და ჩილეს რესპუბლიკის მთავრობებმა გადაწყვიტეს დაამყარონ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა ელჩების დონეზე.

● კამბოჯაში შეჭრილი საიგონის ჯარების სპეციალური დაჯგუფების ნაწილებმა პატრიოტული ძალების შეტევის შედეგად დატოვეს სტატეგიული თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი ქალაქი სნული და პანიკურად იხევენ სამხრეთ ვიეტნამის საზღვრისაკენ, ამასთან დიდი ზარალი მოსდით.

● პრეზიდენტ ა. სადათის დეკრეტით არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში შექმნილია „ასთა კომიტეტი“, რომელიც თვალყურს ადევნებს არაბთა სოციალისტური კავშირის რეორგანიზაციას თავიდან ბოლომდე პირდაპირი არჩევნების გზით. კომიტეტში შემავალი 100 კაციდან ნახევარს მუშები, სა და გლეხების წარმომადგენლები შეადგენენ.

● ტრიპოლში ხელი მოაწერეს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ფართოდ შეუწყობს ხელს ლიბიას საბინაო პრობლემის გადაჭრაში. შეთანხმებას ხელი მოაწერეს ორი ქვეყნის საბინაო მშენებლობის მინისტრებმა.

● პალესტინის გაერთიანებული სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ იორდანიის ქალაქ ჯერაშის რაიონში გრძელდება შეიარაღებული შეტაკებანი პალესტინელ პარტიზანებსა და შთავრობის ჯარებს შორის. გუშინ ჯერაშის რაიონის პარტიზანთა რაზმებს ცეცხლი დაუშინეს, რამაც სამ საათს გასტანა. ორივე მხრივ არიან დახოცილნი და დაჭრილნი.

● ნიუ-იორკის შტატში გაიზარდა საქონლის ყიდვის გადასახადი. თუ იგი დღემდე შეადგენდა საქონლის ღირებულების 6 პროცენტს, ახლა შეადგენს 7 პროცენტს.

● ლონდონი. 1. ინგლისში ამერიკის სამხედრო ბაზებში დაბანავებული ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების წარმომადგენლებმა დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ლონდონის საელჩოს გადასცეს წერილი, რომელიც შეიცავს მოთხოვნას, რომ ბოლო მოეღოს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ინდოჩინეთში. ამ წერილს ხელი მოაწერა 900-ზე მეტმა ამერიკელმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა.

● შარშან ნიუ-იორკში მოხდა 1.117 მკვლელობა. როგორც ქალაქის პოლიციის სამმართველო აღნიშნავს, რომელმაც ეს ცნობები გამოაქვეყნა, მკვლელობათა რიცხვი შარშან 1969 წელთან შედარებით 7,1 პროცენტით გაიზარდა.

● უაანასანელი ახი წლის განმავლობაში იტალიიდან სხვა ქვეყნებში სამუშაოს საშოვრად წავიდა 80 მილიონი კაცი — გლეხები, მუშები, წვრილი მოსამსახურენი, რომლებიც საამშობლოში უმუშევარი იყვნენ. ემიგრანტთა რიცხვის მხრივ ერთ-ერთი რეკორდული იყო 1961 წელი, როცა ქვეყანა დატოვა 387 ათასმა კაცმა.

საკდესი-ფრანს პრესი.

ტოკიო

საგაზაფხულო შეტევების წარმატებანი

1 ივნისი. (საკდესი). იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს თავმჯდომარემ იტიკავამ დიდად შეაფასა მიმდინარე წელს იაპონელ მშრომელთა ტრადიციული საგაზაფხულო შეტევის შედეგები. ამ შეტევაში მონაწილე პროფკავშირთა უმრავლესობამ, განაცხადა მან, მიაღწია ხელფასის არსებით მომატებას. იტიკავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშრომელთა გამოსვლებმა სერიოზული დარტყმა მიაყენეს მონოპოლისტთა იმ გეგმებს, რომ გაეყინთათ მშრომელთა ხელფასი.

გენერალური საბჭოს ხელმძღვანელობის თათბირზე გამოსვლისას იტიკავამ აღნიშნა, რომ იაპონიის მუშებისა და მოსამსახურეების ერთობლივი გამოსვლების წარმატებამ ხელი შეუწყო თავის ძალებში მუშათა კლასის რწმენის ზრდას, ამაღლებს მშრომელთა საბრძოლო სულისკვეთებას წარმოების კაპიტალისტური „რაციონალიზაციის“ წინააღმდეგ ბრძოლაში. გენერალური საბჭოს ლიდერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშრომელთა წლევანდელი საგაზაფხულო გამოსვლების წარმატებას ხელი შეუწყო აგრეთვე იმან, რომ ბრძოლაში ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად წამოყენებული იყო პოლიტიკური მოთხოვნებიც.

ცილისმწამებლური კამპანია

1 ივნისი. (საკდესი). დასავლეთგერმანული პრესა ფართოდ აშუქებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ხ. ენდრიხოვსკის წერილს, რომელიც გამოუგზავნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. შეელს.

წერილში აღნიშნულია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას იკისრებდა პასუხისმგებლობა ძირგამომთხრელი პროპაგანდისტული საქმიანობისათვის, რომელსაც სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ეწევა ამერიკის რადიოსადგური „თავისუფალი ევროპა“ მიუნხენში.

„ვესტფალიერ რუნდშაუ“ სარედაქციო კომენტარში აკრიტიკებს ცილისმწამებელ კამპანიას, რომელსაც „ევროპიდან“ ეწევიან რადიოსადგურები „თავისუფალი ევროპა“ და „თავისუფლება“. ასეთი საქმიანობა, ხაზს უსვამს გაზეთი, „ეწინააღმდეგება სუვერენული სახელმწიფოს ცნებას.“

ლისაბონი

„ცივი ომის“ რეცეპტით

1 ივნისი. (საკდესი). ოქრუსფრად ბზინავს ახლად მოვარაყებული ლისაბონის ცენტრში აღმართული ძველებური მეფის სასახლე. სასახლის სასწრაფო შეკეთებას საკმაოდ დიდი თანხა დაჯდა, მაგრამ პორტუგალიელ ხელისუფალთ ეს ხარჯები „სავსებით გამართლებულად“ მიაჩნიათ: ყოფილი მეფის რეზიდენცია ახლა ხომ განაცხადილია საპატიო სტუმრებისათვის — ნატოს საბჭოს მორიგი სხდომის მონაწილეებისათვის.

ნატოს საბჭოს სხდომა 3 ივნისს გაიხსნება. სხდომისათვის მზადება მარტო პორტუგალიაში როდი მიმდინარეობს. შესამჩნევი „ატლანტიკური აქტივობა“ ახასიათებს პერიოდს, რომელიც წინ უძღვის ლისაბონის შეხვედრას.

ბელგიაში, სადაც განლაგებულია ნატოს შტაბ-ბინა, მოეწყო ჩრდილოეთ ატლანტიკური ბლოკის პოლიტიკური კომიტეტისა და ნატოს თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტის სხდომები. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ორ დღეს მიმდინარეობდა ნატოს ატომური დაგეგმვის ჯგუფის სხდომა. ყველა ამ შეხვედრაზე ტონს იძლეოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ლერიდი, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ევროპაში ამერიკელი გენერალი გუდპელისტერი და პენტაგონის სხვა ემისრები.

ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა ბრიუსელში გამართულ ბოლო შეხვედრაზე მხარი დაუჭირეს გამალებული შეიარაღებისათვის ხარჯების ასაღ გადიდებას.

ნატოსთან დაახლოებულ აქაურ პოლიტიკურ წრეებში ყურადღებას მიაპყრობენ იმ ფაქტს, რომ ლისაბონის სესიის წინ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პაკარდმა დიდი „საინსპექციო ტურნე“ მოაწყო შემდეგი მარშრუტით: ესპანეთი — საბერძნეთი — თურქეთი — იტალია — ნატოს შტაბ-ბინა (ბელგია).

გაზეთი „ეპოკა“ განმარტავს ამ მოგზაურობის შედეგებს და აღნიშნავს, რომ პენტაგონს განზრახული აქვს „განსაკუთრებული ყურადღება“ მიაპყროს ნატოს სამხრეთ ფლანგს. ამ მიზნით დაეგზავნა, „ამაღლონ“ აშშ-ის მე-6 ფლოტის „ბრძოლისუნარიანობა“ ხმელთაშუა ზღვაში.

ნატოს ზოგიერთი ქვეყანა შესამჩნევ ინტერესს, ნაწილობრივ კი ნერვიულობასაც იჩენს ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების საკითხის გამო.

(გაზეთიდან).

შემცირების მათი ხერხი.

ნახ. ი. ძოძიაშვილისა.

ვიეტნამი

ფეცანი ლიბიის სამხრეთი რაიონია. აქ ქვეყნის ორი უდიდესი საგუბერნატორო — სებხა და უბარია განლაგებული. ბევრი ლიბიელისათვის, იმისთვისაც კი, ვინც ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე სახლობს, ფეცანის ბუნება, ისტორია, „უდაბნოს შვილების“ ადათი და ჩვეულება თავისებური რომანტიკით არის გარემოცული. „ფეცანში ყველაფერი პირიქით არის, — მეუბნებოდა ერთი ნაცნობი ტრიპოლში, — მაგალითად, ქალები იქ სახეს არ მალავენ ჩადრით, კაცები კი სახედაფარული დადიან“.

ტრიპოლიდან სამხრეთის დედაქალაქ სებხასათვის რომ მიგვეღწია, სხვადასხვა, მაგრამ ყოველთვის მოასფალტებული გზების ათასამდე კილომეტრი გადავლახეთ. ფეცანი ნელ-ნელა იხსნებოდა ჩვენს წინაშე, და უნდა ითქვას, რომ ფერების განსაკუთრებული სიჭარბით არ გვაბარებდა. შავი, მზით გარუჯული მთები, უდაბნოს ყვითელი ბარქანები და იშვიათი მწვანე ზოლი ნაყოფიერი „ვადიების“ — უძველესი დროიდანვე ამომშრალი მდინარეების ველებისა — ასეთია სამხრეთ ლიბიის სამი ძირითადი ფერი. 551 ათას კვადრატულ კილომეტრ ფართობზე მხოლოდ 100 ათასი ადამიანი სახლობს.

ფეცანში დღემდე ბატონობს წინაპრებისაგან მემკვიდრეობით გადმოსული პატრიარქალურ-ტომობრივი დაქვემდებარება. ახლგაზრდა ფეცანი უსიტყვოდ ასრულებს მამის ყველა ბრძანებას, რომელიც თავის მხრივ გვარის — „აილიას“ მთავრის ერთგულია. შემდეგ საფეხურზე დგას ტომის შეიხი. შეიხი უძველესი რელიგიური და ყოფითი სამართლის საშუალებებით წყვეტს ყველა პრობლემას და შინაგან განხეთქილებას, რომელთა უმეტესობა ეხება მიწას, პირუტყვს და ყველაზე ძვირფასს როგორც მომთაბარისათვის, ისე ფელახისათვის — წყალს.

ჰასან ამდელ რახმან ალბარკული, სებხას გუბერნატორი, არ მალავს სიძნელეებს, რომლებიც მის წინაშე წამოიჭრა მისი გუბერნატორობის პირველი დღეებიდანვე. რევოლუციური ხელისუფლების წელიწადნახევრის მანძილზე შეუძლებელი იყო ყველა პრობლემის გადაწყვეტა. მთავარია სოფლის მეურნეობის — ეკონომიკის ძირითადი დარგის განვითარება. როდესაც 1957 წელს ფეცანის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ნავთობი, უფრო მაღალმა გასამრჯელომ სოფლის მცხოვრებნი „შავ ოქროს“ სამადოებზე მიიზიდა და სოფლის მეურნეობა საგრძნობლად დაქვეითდა.

ლიბიის რევოლუციური მთავრობა ბევრს აკეთებს აგრარული სექტორის ასამაღლებლად, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინათ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ექსპორტში. „50 მილიონი გირვანქიდან, რომელიც სახელმწიფომ გამოჰყო „მწვანე რევოლუციისათვის“, მნიშვნელოვანი თანხა — 20 მილიონი ჩვენს განკარგულებაშია, — თქვა გუბერნატორმა, — ჩვენ შევადგინეთ სოფლის მეურნეობის აღმავლობის პროექტები პერსპექტიულ რაიონებში. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, — განაგრძო მან, — გამოგზავნა სპეციალისტი-აგრონომები და საჭირო ტექნიკა. გლეხები და კოოპერატივები დახმარებას იღებენ. ამ ღონისძიებებმა კარგი შედეგები უნდა მოგვცეს. გარდა ფინიკის შემფუთავი ფაბრიკისა — ფეცანის ფინიკი კი საუკეთესოა ლიბიაში, — საგუბერნატოროში არ არის მსხვილი სამრეწველო საწარმო. სამაგიეროდ აქ კარგად არის განვითარებული ეკონომიურად დაფუძნებული ტრადიციული „მცირე ხელისნობა“, რომლის წარმატებას ყოველნაირად ხელს ვუწყობთ.“

სებხას დათვალიერებას ბევრი დრო არ წაუღია. მერის მოვალეობის შემსრულებლის ბატონ ბაბაკრას სიტყვით ქალაქში დაახლოებით 30 ათასი მცხოვრებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მნიშვნელოვნად გაუსწრო ფეცანის სხვა დასახლებულ პუნქტებს. ლიბიის სამხრეთ პროვინციის პრობლემა — დასახლებათა გაფანტულობა — მნიშვნელოვნად აფერხებს სამედიცინო მომსახურების, განათლების სისტემის, ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. „ეს რატომ არის, რომ რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე კადაფს და მთავრობას მიანნით: სამხრეთ პროვინციის დასახლებული პუნქტები უნდა გადაიქცნენ მომთაბარე და ადგილობრივი ფელახების მიზიდვის ცენტრებად, უდაბნოზე შეტევის, ახალი მიწების ათვისების, კულტურისა და თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევათა გავრცელების ცენტრებად. ჯერჯერობით ეს მხოლოდ პროექტებია, მაგრამ ადგილობრივი მდგომარეობის გაცნობის შემდეგ რწმუნდები მათს რეალობაში.

სებხაში ვნახეთ ლიბიის ყოფილი მეფის იდრისის სასახლე. აღსანიშნავია, რომ თავისი მეფობის მანძილზე მას ერთხელაც არ უნახავს საკუთარი რეზიდენცია ფეცანში. ახლა სასახლეში არქეოლოგიური მუზეუმია განლაგებული, რომელსაც ათვალიერებენ არა მარტო უცხოელი ტურისტები, არამედ ადგილობრივი მცხოვრებლებიც. ისინი თავიანთი მშობლიური მხარის ისტორიას ეცნობიან.

ეს ისტორია კი ძლიერ საინტერესოა, თუმცა ნაკლებად არის შესწავლილი. აქ პირველად შეეჯახა გარამანტების შესახებ, რომლებიც სამხრეთ ლიბიაში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში დასახლდნენ. მათზე ჯერ კიდევ ჰეროდოტე წერდა. იგი აღფრთოვანებით იხსენებდა მათს ოთხცხენიან საბრძოლო ეტლებს. გარამანტები განუწყვეტელ ომებს აწარმოებდნენ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, თავს ესხმოდნენ კართაგენის, ფინიკიისა და რომის იმპერიის დასახლებებს ლიბიის ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე, მაგრამ შემდეგ ვეღარ გაუძლეს რომის ლეგიონების შეტევას და სამხრეთისაკენ დაიხიეს. უკვე არაბთა დაპყრობების დროისათვის ამ უძველესი ხალხის შესახებ მხოლოდ ლეგენდები იყო შემორჩენილი.

სებხადან ჯერმუმდე, სადაც გარამანტების უძველესი დედაქალაქის ნანგრევებია, 200-კილომეტრიანი გზატკეცილი ნაყოფიერ ვადიელ — ოჯალის ველს მიჰყვება. აქ მრავლად არის ფინიკის პალმების მხიარული მწვანე ოაზისები, მიწის კვადრატული ნაკვეთები იონჯის, ელფისა და ბოსტნეულის ნათესებით. აღმოსავლეთით მოჩანან გამოფიტული და სრულიად უსიცოცხლო მოლუშული შავი მთები, დასავლეთიდან ებჯინება გაქვავებული ყვითელი დიუნების ზღვა, „ვესტფალიერ რუნდშაუ“ სარედაქციო კომენტარში აკრიტიკებს ცილისმწამებელ კამპანიას, რომელსაც „ევროპიდან“ ეწევიან რადიოსადგურები „თავისუფალი ევროპა“ და „თავისუფლება“. ასეთი საქმიანობა, ხაზს უსვამს გაზეთი, „ეწინააღმდეგება სუვერენული სახელმწიფოს ცნებას.“

ფეცანის სამი ფერი

მოგზაურობა უცხო მხარეში

„მწვანე რევოლუციის“ უძველეს მიწაზე

ოჯალის ოაზისი. ეს ოაზისი ერთ-ერთია ბოლო ოაზისებს შორის, ადამიანის ხელით ოაზისად ქცეული. ოაზისი ბევრ ადამიანს ეხმარება. ოაზისი ბევრ ადამიანს ეხმარება. ოაზისი ბევრ ადამიანს ეხმარება

მხატვრის შთაგონება

კვირას, 30 მაისს „მერანის“ სალონში გიხსნა საქართველოს სახალხო მხატვრის, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ელენე ახვლედიანის ნაწარმოებთა პერსონალური გამოფენა.

ვერნისაჟზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა გამომცემლობა „მერანის“ დირექტორმა პოეტმა კარლო კალაძემ.

საპატიო ჯილდოს მიღება გამოფენის გახსნა ელენე ახვლედიანს მიულოცეს საქართველოს მხატვართა კავშირის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა შ. კაფარიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ბ. ჯიბლაძემ, არქიტექტურის დოქტორმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ი. ცინცაძემ, ელენე ახვლედიანის ნამუშევართა გამოფენა

მხატვარმა ვ. ონიანმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ქუდუხმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა შ. ამირანაშვილმა.

ე. ახვლედიანმა გულითადი მადლობა გადაუხადა შეკრებილთ ყურადღებისათვის. გამოფენაზე ექსპონირებულია 100-ზე მეტი ნაწარმოები, რომელთა ნაწილს მიენიჭა რუსთაველის სახელობის პრემია.

...დარბაზის ერთ კუთხეში ვხედავთ ძველი თბილისის პეიზაჟს, რომელიც ტამპერითა და ზეთის საღებავებით დაუხატავს ე. ახვლედიანს 1919 წელს, როცა თბილისს მეორე ქალთა გიმნაზიის მოსწავლე იყო და ხატვას სწავლობდა სკლიფასოვსკის სტუდიაში. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი გავიდა და მხატვარს არც ერთი წლით არ მიუტოვებია პოლიტრა. რეალიზმის ერთგული მხატვარი ყოველთვის უწყობს ნაბიჯს დროს. იგი სამართლიანად მიიკუთვნება იმ ოსტატთა რიცხვს, რომლებმაც შექმნეს ქართული საბჭოთა ფერწერის სკოლა.

გამოფენაზე წარმოდგენილია „ზღაპარი“, „იმერეთი“, „გარძია“, „ფუნიკულიორის გზა“. სპეციალისტები ამბობენ, ე. ახვლედიანის შემოქმედება, რაც დრო გადის უფრო ჭაბუკი და შთაგონებულიაო.

დამთვალიერებლები დიდხანს იდგნენ ე. ახვლედიანის ძველი ფერწერული ტილოების წინ.

გამოფენაზე ექსპონირებულია აგრეთვე მხატვრის გრაფიკული ნაწარმოებები, რომლებიც ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე იქმნებოდა.

საინტერესოა მხატვრის წიგნის გრაფიკაც.

გამოფენის გახსნაზე იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე დ. ბობოხია.

გამოფენა ერთ თვეს იმუშაებს.

(საქ. ფოტო).

• • •

სურათზე: „ზამთარი სიღნაღში“.

(საქ. ფოტო-ქრონიკა).

სპორტი

პრეტენდენტთა მატჩები

ნახევარფინალისტთა სამეული

უკვე ცნობილია მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა სამი ნახევარფინალისტი. არც ერთ მათგანს არ დასჭირვებია ათივე პარტიის გამართვა, სამივემ ნახევარფინალის საბურო ვადამდე მოიპოვა. ყველაზე ადრე საწადელს მიაღწია მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტიგრან პეტროსიანმა, რომელსაც ნახევარფინალში გასვლისათვის 7 პარტიის გამართვა მოუხდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელთან რ. ჰიუბნერთან. ერთი ნაბიჯით მეტი გადადგა ვ. კორჩნოიმ ე. გელერთან მატჩში. მან მერვე პარტიაში მოიპოვა ნახევარფინალის საგზური. მესამე ნახევარფინალისტი გახლავთ დანიელი გროსმაისტერი ბ. ლარსენი, რომელმაც მეცხრე პარტიაში იზეიმა საბოლოო გამარჯვება ვ. ულმანთან (გდრ) 5:5:3:5. ამ ორი მოჭადრაკის მეცხრე პარტია გადადებული იყო დანიელი გროსმაისტერის უპირატესობით და გამარჯვებაც მას ხვდა 64-ე სვლაზე.

ნახევარფინალში ტ. პეტროსიანის მეტოქეა ვ. კორჩნოი, ხოლო ბ. ლარსენისა და მ. ტალიანოვის და რ. ფიშერის მატჩში გამარჯვებული. (აქ ანგარიშია 5:0 ამერიკელი გროსმაისტერის სასარგებლოდ). ამ ორი მოჭადრაკის მეექვსე პარტია ვანკუვერში გუშინ გვიან ღამით შედგა.

ნანა ალექსანდრია — პირველ ადგილზე

დამთავრდა ქალთა საზონათშორისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოხრიდი, 1 ივნისი. (საკ. ფოტო). საბჭოთა მოჭადრაკეებმა ნანა ალექსანდრიამ და ტატიანა ზატულოვსკაიამ, აგრეთვე მილუნკა ლაზარევიჩმა (იუგოსლავია) მოიპოვეს უფლება გამოვიდნენ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ისტორიაში პირველ ტურნირზე, რომელიც მატჩების სისტემით მოეწყობა. მათ დაიკავეს სამი საპრიზო ადგილი საზონათშორისო ტურნირში, რომელიც იუგოსლავიის ამ ქალაქში დამთავრდა. თერამეტი მეტოქის დავაში ალექსანდრია საუკეთესო იყო, მან მოაგროვა 13 ქულა. ზატულოვსკაიამ და ლაზარევიჩმა, რომლებმაც 12-12 ქულა მიიღეს, მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს.

პრეტენდენტთა მატჩები უნდა დაიწყოს ორი თვის შემდეგ. საზონათშორისო ტურნირის დამთავრებისთანავე ოხრიდში მოწყობილი წილისყრის შესაბამისად, მოსკოველი ალა კუშნირი, რომელსაც უკვე ჰქონდა ჭადრაკის გვირგვინისათვის ბრძოლის უფლება, როგორც მსოფლიოს ჩემპიონთან ორი მატჩის მონაწილეს, შეხვდება ზატულოვსკაიას, ხოლო ალექსანდრია — ლაზარევიჩს.

ამ ორ მოჭადრაკეს შორის, რომლებიც ნახევარფინალურ შეხვედრებს მოიგებენ, მოეწყობა ფინალური მატჩი და გამარჯვებული ნონა გაფრინდაშვილს შეხვდება. ეს შეხვედრა გაიმართება უკვე 1972 წელს, ისევე როგორც მატჩი ვაუთა შორის მსოფლიოს ჩემპიონობისათვის.

საკდესის კორესპონდენტის შეკითხვაზე „რა აზრისა ხართ ოხრიდის საერთაშორასო შეჯიბრების შედეგებზეო“, ალა კუშნირმა უპასუხა: „ვფიქრობ, რომ სწორედ ალექსანდრია, ზატულოვსკაია და ლაზარევიჩი უნდა გამხდარიყვნენ პრეტენდენტები, რადგან ობიექტურად ისინი ყველაზე ძლიერი იყვნენ ტურნირის მონაწილეთა შორის“.

სამმა დანარჩენმა საბჭოთა მოჭადრაკემ, რომლებიც ოხრიდში გამოდიოდნენ, უჩვენეს შემდეგი შედეგები: ნატალია კონოპლიოვა — 11 ქულა, ვალენტინა კოზლოვსკაია — 10,5 და ელენე რუბცოვა — 8,5 ქულა.

კონოპლიოვას, რომელმაც მე-4-5 ადგილები გაიყო მარიამ ივანკასთან (უნგრეთი), დამატებითი მატჩი მოელის იმ უფლებისათვის, რომ პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილეობის კანდიდატი გახდეს, თუ ზემოხსენებული ოთხი მოჭადრაკიდან რომელიმე უარს იტყვის შეჯიბრებაზე. ეს ისეთივე მატჩი იქნება, როგორიც ამას წინათ ჰქონდათ ვასილ სმისლოვს და ლიიოშ პორტიშს.

ეს სურათი ჩვენმა კორესპონდენტმა დ. მაჯავარიანმა იუგოსლავიის ქალაქ ოხრიდში გამგზავრების წინ ნანა ალექსანდრიას გადაუღო. მოსკოვს ახლოს ზვენიგოროდში, სადაც ნანა საზონათშორისო ტურნირისთვის ემზადებოდა.

საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

1971-72 სასწავლო წლისათვის აცხადებს მიღებას

სამსახიობო, სარეჟისორო ფაკულტეტებზე, მუსიკმცოდნეობის განყოფილებაზე (დღის დასწრებული) და თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე — საღამოს დასწრებული (დღის დასწრებულის სასწავლო გეგმის მიხედვით).

სამსახიობო ფაკულტეტი ამზადებს დრამისა და კინოს მსახიობებს, სარეჟისორო ფაკულტეტი — დრამის რეჟისორებს, მუსიკალური კომედიის განყოფილება — მუსიკალური თეატრისა და ესტრადის მსახიობებს. თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი — თეატრალურ კრიტიკოსებს, თეატრის ისტორიკოსებს, თეორეტიკოსებს, აგრეთვე თეატრის ლიტერატურული განყოფილების უფროსებს. სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლების ვადა 4 წელია, მუსიკომედიის განყოფილებაზე, სარეჟისორო და თეატრმცოდნეობის ფაკულტეტებზე — 5 წელი. სამსახიობო ფაკულტეტზე და მუსიკალური კომედიის განყოფილებაზე მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი 25 წლის ასაკამდე. სარეჟისორო და თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე — სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი 35 წლის ასაკამდე.

I. სამსახიობო ფაკულტეტზე შემსვლელი აბიტურიენტები აბარებენ გამოცდას სპეციალობაში: ა) აბიტურიენტებმა უნდა მოამზადონ შესასწავლელად რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოები სხვადასხვა ჟანრისა, მათ რიცხვში ლექსი, იგავ-არაკი, პროზა (მოკლე მოთხრობა ან ნაწყვეტი ბელეტრისტული ნაწარმოებიდან). შესასრულებელი ნაწარმოები უნდა განირჩეოდეს შინაარსისა და ფორმის მიხედვით. ბ) მუსიკალური მონაცემების შემოწმება (სმენა, რიტმი და სხვ.), გ) კოლოკვიუმი, რომელიც გამომაქეყნებს აბიტურიენტის კულტურის საერთო დონეს და ცოდნას თეატრისა და დრამატურგიის დარგში.

II. სარეჟისორო ფაკულტეტზე აბიტურიენტები განცხადებასთან ერთად აბარებენ საშინაო წერითს სამუშაოს (რეჟისორული ანალიზი დრამატული ნაწარმოებისა). რეჟისორული ანალიზისათვის აბიტურიენტი ირჩევს ორ ან სამაქტიან პიესას. საშინაო ნამუშევარში აღნიშნული უნდა იყოს ცნობები ნაწარმოების ავტორზე და იმ ეპოქაზე, რომელიც მოცემულია ნაწარმოებში, უნდა იყოს გაანალიზებული დრამატული ნაწარმოების იდეური შინაარსი, მისი შეფასება პარტიული პოზიციიდან. მოქმედი პირების დახასიათება და მხატვრული ფორმის თავისებურება (სტილი, ჟანრი, კომპოზიცია, ენა და სხვ.). დრამატული ნაწარმოების ანალიზი შევსებული უნდა იყოს სპექტაკლის რეჟისორული გადაწყვეტის ელემენტებით (ზეპოდიუმის და გამჭოლი მოქმედების განსაზღვრა, სპექტაკლის სხვადასხვა ელემენტების შეფასება). სარეჟისორო ფაკულტეტზე აბიტურიენტები აბარებენ გამოცდას სპეციალობაში: I. გამოცდა მსახიობის ოსტატობაში; ა) აბიტურიენტმა გამოცდაზე ზეპირად უნდა წაიკითხოს რამდენიმე სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოები (იგავ-არაკი, ლექსი, მოთხრობა ან ნაწყვეტი პროზაული ნაწარმოებიდან), უნდა შეასრულოს არართული სცენური ეტიუდი, შერჩეული საგამოცდო კომისიის მიერ; ბ) მუსიკალური მონაცემების შემოწმება (სმენა, რიტმი).

2. გამოცდა რეჟისურაში: გამოცდაზე შესრულებულ უნდა იქნას წერითი ნამუშევარი საგამოცდო კომისიის მიერ შერჩეულ თემაზე. გამოცდაში აგრეთვე შედის პრაქტიკული რეჟისურა და კოლოკვიუმი.

III მუსიკომედიის განყოფილებაზე შესვლელი აბიტურიენტები აბარებენ მისაღებ გამოცდებს სპეციალობაში, ისე როგორც სამსახიობო ფაკულტეტზე შემსვლელი აბიტურიენტები. გარდა ამისა დამატებით აბარებენ გამოცდას ვოკალში (ორი ან სამი მუსიკალური ნაწარმოების შესრულება). თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე აბიტურიენტები განცხადებასთან ერთად აბარებენ წერითს სამუშაოს (დრამატული ნაწარმოების, სპექტაკლის ან კინოფილმის ანალიზი).

IV. თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე შემსვლელი აბიტურიენტები გამოცდებს აბარებენ სპეციალობაში: ა) წერა (რეცენზია სპექტაკლის ან კინოფილმისა), ბ) კოლოკვიუმი, რომელიც გამომაქეყნებს აბიტურიენტის კულტურის საერთო დონეს, ცოდნას თეატრის ისტორიისა თუ დრამატურგიის დარგში, კლასიკური და თანამედროვე რეპერტუარის ცოდნას. საერთო გამოცდების საგნებიდან აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი); 2. სსრკ ხალხთა ისტორია.

სარეჟისორო და თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე პირველ რიგში მიიღებიან ის აბიტურიენტები, როლებსაც აქვთ კულტურის დარგში პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე, აბიტურიენტის მიერ არჩეული ფაკულტეტისა და სპეციალობის ჩვენებით. განცხადებას თან უნდა დაერთოს დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი): დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, გაცემული პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის, კოლმეურნეობის გამგეობის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ. (საჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებული სამხედრო ნაწილის მეთაურისაგან); სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 4 ფოტოსურათი (ზომით 3X4); ცნობა სიცხოვრებელი ადგილიდან. საბუთების შეტანისას აბიტურიენტი პირადად წარმოადგენს პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედრო-ვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირები).

განცხადებები მიიღება ყოველდღე 2-დან 5 საათამდე, შაბათს 12-დან 3 საათამდე.

საჭირო ცნობების მიღება შეიძლება მიმდები კომისიის პასუხისმგებელ მდივანთან ყოველდღე 2-დან 5 საათამდე.

გამოცდები დაიწყება 12 ივლისს.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 17. ტელ. 99-05-79.

საქართველოს სუგხროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

დასწრებული სწავლების განყოფილება

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე. ა) სწავლული აგრონომის სპეციალობით (ქართული და რუსული სექტორები), ბ) სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის სწავლული აგრონომ-მელიორატორის სპეციალობით (ქართული სექტორი), გ) სწავლული აგრონომ-დეკორატორის სპეციალობით (ქართული სექტორი).

2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე: (ქართული და რუსული სექტორები) — ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ხიდ-ბოსტნეულის დაკონსერვების ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით.

3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე: (ქართული და რუსული სექტორები) — სოფლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

ინსტიტუტში შემსვლელნი გამოდადებს აბარებენ არჩეული სპეციალობის მიხედვით შემდეგ მაპროფილებელ საგნებში:

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე: ქიმია (წერა), ფიზიკა (წერა), ბიოლოგია (წერა). 2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე: მათემატიკა (წერა), ფიზიკა (წერა), ქიმია (წერა). 3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე: მათემატიკა (წერა, ზეპირი), ფიზიკა (წერა); ყველა შემსვლელი აბარებს გამოცდას (როგორც არა მაპროფილებელ საგანში) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) ქართულ სექტორზე და რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) რუსულ სექტორზე.

ოქრის ან ვერცხლის მედალოსნები და საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში, სახელდობრ: 1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე — ბიოლოგიაში (წერა), 2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — მათემატიკაში (წერა), 3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე — მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

იმ შემთხვევაში, თუ მედალოსანი ან წარჩინების მქონე აბიტურიენტი გამოცდას ჩააბარებს მაპროფილებელ საგანში „ფრიადზე“, ის თავისუფლდება შემდგომი გამოცდებისაგან, ხოლო თუ მიიღო „კარგი“ ან „დამაკმაყოფილებელი“, გამოცდას აბარებს ყველა საგანში საერთო წესით.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად, ინსტიტუტში ჩარიცხვა კი 1971-1972 სასწავლო წლისათვის სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად.

განცხადება აბიტურიენტმა უნდა შეიტანოს ინსტიტუტის რექტორის სახელზე დაწესებული ფორმის მიხედვით, არჩეული ფაკულტეტის ჩვენებით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი). 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, გაცემული სამუშაო ადგილიდან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის კურსდამთავრებულთათვის — სკოლის ხელმძღვანელისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი ადგენენ დახასიათებას სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელობისაგან. 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონე პირთათვის), დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული გამგეობის თავმჯდომარის მიერ, რომელშიც აღნიშნულია დაწესებული გამომუშავების მინიმუმი ყოველი კალენდარული წლისათვის. საბჭოთა მეურნეობის მუშები შრომის წიგნაკის ამონაწერთან ერთად ადგენენ ცნობას, რომელშიც აღინიშნება მათი გამომუშავება თვეების მიხედვით. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნილმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ერთიანი ფორმის მიმართვა სასწავლებელში მიგზავნების შესახებ. 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 5. ოთხი ფოტოსურათი, ზომა 3X4 სმ.

ინსტიტუტში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თანმრგის სამხედროვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირები).

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე ყოველდღე, გარდა კვირისა, 10 საათიდან 16 საათამდე.

მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმდებ კომისიაში: სოხუმი, კელასური, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, ტროლეიბუსი № 2 და 3, ავტობუსი № 1, 4, 13 და 14. ტელ. — 96-4-78.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-72 სასწავლო წლისათვის სასოფლო-სამეურნეო და საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმებში შემდეგ სპეციალობებზე:

1. **აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

2. **ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა, მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

3. **ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — ვეტერინარია, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

4. **ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, მეხილეობა-მებოსტნეობა, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

5. **აჩიგვარის (გალის რაიონი) საბჭოთა მეურნეობა ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

6. **ბათუმის (მწვანე კონცხი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით — არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ბაზაზე, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

7. **ბაკურციხის (გურჯაანის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, ხილბოსტნეულის ტექნოლოგია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

8. **ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, საბუღალტრო (ქართულ ენაზე) — საშუალო სკოლის ბაზაზე, საბუღალტრო (აზერბაიჯანულ ენაზე) — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

9. **გეგეჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, მეხილეობა-მებოსტნეობა, სუბტროპიკულ განხრით — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, საბუღალტრო-საშუალო სკოლის ბაზაზე;

10. **გორაბერეჯოულის (ჩოხატაურის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

11. **გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა, მეფრინველეობა, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, საბუღალტრო, ხილ-ბოსტნეულის ტექნოლოგია, საშუალო სკოლის ბაზაზე;

12. **დიდი ჯიხაიშის (სამტრედიის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — დასახლებული ადგილების გამწვანება, საბუღალტრო, ხილ-ბოსტნეულის ტექნოლოგია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით, საბუღალტრო, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

13. **დუშეთის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში** — ვეტერინარული — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ზოოტექნიკური — საშუალო სკოლის ბაზაზე;

14. **ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, საბუღალტრო (ქართულ ენაზე) — საშუალო სკოლის ბაზაზე;

15. **ზუგდიდის (ზუგდიდის რაიონი) საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, საბუღალტრო, სოფლის მეურნეობის დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

16. **ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, საბუღალტრო-არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, ს/მ მექანიზაცია, ს/მ დაგეგმვა, საბუღალტრო — საშუალო სკოლის ბაზაზე;

17. **თელავის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე;

18. **კულაშის (სამტრედიის რაიონი) ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში** — ვეტერინარული, რძის ტექნოლოგია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ვეტერინარული, მეფრინველეობა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

19. **ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

20. **ლაითურის (მახარაძის რაიონი) საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუღალტრო-არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

21. **ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული კულტურების განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუღალტრო-არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

22. **მარტყოფის (გარდაბნის რაიონი) სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმში** — მიწათმოწყობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — საშუალო სკოლის ბაზაზე, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

23. **ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

24. **ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, საბუღალტრო-საშუალო სკოლის ბაზაზე;

25. **ცხაკაიის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

26. **ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა ვეტერინარული — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა — საშუალო სკოლის ბაზაზე;

27. **წალკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — ვეტერინარული, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

28. **წინამძღვრიანთკარის (მცხეთის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის განხრით, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, მეხილეობა-მებოსტნეობა, საბუღალტრო, ტექნიკა, მევენახეობის განხრით, საშუალო სკოლის ბაზაზე;

29. **წნორის (ხიდნაღის რაიონი) ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში** — ზოოტექნიკური, ვეტერინარული, მეფრინველეობა — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

30. **წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმში** — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მეცხოველეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია საშუალო სკოლის ბაზაზე;

31. **ხეთის (ხობის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული კულტურების განხრით, საბუღალტრო — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე;

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული ან სრული საშუალო სკოლა და წარმატებით ჩააბარებენ შესასაღელ გამოცდებს.

განცხადებები მიიღება 10 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 10-დან 20 აგვისტომდე. ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე.

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება, განათლების მოწმობა (დედანი), რვაწლიანი სკოლის ან რვაწლიან სკოლასთან გათანაბრებული სხვა სასწავლებლების ან 9, 10 კლასებში გადასვლის მოწმობა; ავტობიოგრაფია, სამედიცინო ცნობა № 286 ფორმით; სამი ფოტოსურათი (ზომით 3X4 სმ).

მისაღებ გამოცდებს აბარებენ: არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში (წერა), მათემატიკაში (ზეპირი);

საშუალო სკოლის ბაზაზე: სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციაზე, საბუღალტრო, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვისა და მეცხოველეობის სპეციალობებზე — ქართულ ენაში (თხზულება), მათემატიკაში (ზეპირი).

ხილ-ბოსტნეულის ტექნოლოგიის სპეციალობაზე ქართულ ენაში (თხზულება), ქიმიაში (ზეპირი).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: არასრული საშუალო სკოლის ის კურსდამთავრებულნი, რომლებიც დაჯილდოებული არიან ქების სიგელით, ხოლო საშუალო სკოლის ოქროს ან ვერცხლის მედალზე კურსდამთავრებულნი;

ის პირები, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრებისას დაჯილდოვდნენ ქების სიგელით „განსაკუთრებული წარმატებისათვის ცალკეული საგნების შესწავლაში“, თავისუფლდებიან მისაღები გამოცდის ჩაბარებისაგან იმ საგანში, რომელშიც მათ მიღებული აქვთ ქების სიგელი, თუ იმ საგანში დადგენილია მისაღები გამოცდა.

ჩარიცხვა იწარმოებს საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების წესების თანახმად.

ტექნიკუმში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია და ბინა საერთო წესით.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

4 ივნისს 15 საათზე ხალხთა ვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პლენუმი.

დღის წესრიგშია: „ხალხთა ვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პროგრამა XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

რა ვნახოთ, რა ვიხილოთ

ტელევიზია

2 ივნისი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი — „რომანოვების დინასტიის დაცემა“, 12.20 — მხატვრული ფილმი — „ეძიეთ და იპოვეთ“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია